## სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

# სეზონის ძირითადი ამოცანა

**თბილისი. სპორტის სასახლე. 8 დეკემბერი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — აკ (კიევი) 80:68 (48:30).**

**მსაჯები: ვ. კასატკოვი და მ. გრიგორიევი (ორივე — მოსკოვი).**

**დუბლიორები — 89:73 (32:32).**

არმიელმა კალათბურთელებმა ამ დღეს ყველა ხერხს მიმართეს, მაგრამ მარცხს თავი ვერაფრით დააღწიეს. მატჩი მათ ჩვეული, ბრძოლებში ნაცადი ხუთეულით დაიწყეს, სადაც მთავარი როლი ტანმაღალ ოკიპნიაკს დაეკისრა. მაგრამ სულ მალე ცხადი გახდა, რომ ცენტრალური თავდამსხმელის ფიზიკურ უპირატესობას გუნდისთვის სარგებლობა არ მოჰქონდა. მაშინ მწვრთნელმა მეორე ტანმაღალი ცენტრი — სუშაკი გამოიყვანა. ვერც ამ შეცვლამ გამოიღო ნაყოფი. დარჩა ერთადერთი გამოსავალი — თამაშში გიგანტთა ერთდროული ჩართვა და ამით ორივე კალათის მისადგომთა გადაკეტვა. მაგრამ არმიელებს ვერც ამ გაბედულმა მანევრმა მოუტანა სასურველი შედეგი. უფრო მეტიც, ოკიპნიაკი და სუშაკი მაშინვე გამოეთიშნენ თამაშის საერთო რიტმს და მწვრთნელი იძულებული გახდა ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, სუშაკი, სათადარიგოთა მერხზე დაესვა.

მაინც რა მოხდა ისეთი, რამაც საბრძოლველად განწყობილი არმიელები, რომლებიც ალბათ ქულას განაღდებულადაც თვლიდნენ, გადაუწყვეტი ამოცანის წინაშე დააყენა? განსაკუთრებული არაფერი: „ბურევესტნიკმა“ სწორად შეაფასა თავისი შესაძლებლობანი და თავიდანვე უარი თქვა მშვიდ, პოზიციურ თამაშზე, რომელიც სტუმრებს სიმაღლის უპირატესობის რეალიზაციის საშუალებას მისცემდა. ეს იყო ზუსტი არჩევანი და, როგორც გამოირკვა, წარმატების ერთადერთი გზა. თბილისელებმა მეტოქეს თავიდანვე თავბრუდამხვევი ტემპი შესთავაზეს და მთელი მატჩის მანძილზე შეინარჩუნეს იგი. ერთი-ორი გადაცემა და ხელსაყრელ პოზიციაში რომელიმე თავდამსხმელის გაყვანა, — ეს არც ისე რთული ამოსახსნელი მანევრი იყო, მაგრამ კიეველებმა მას ეფექტური კონტრთამაში ვერაფრით ვერ დაუპირისპირეს — ალბათ სისწრაფე მასპინძლებზე ნაკლები ჰქონდათ.

იყო, რა თქმა უნდა, შემთხვევები, როცა პირველ შეტევას შედეგი არ მოჰყოლია. მაშინ იწყებოდა ბურთის ნელი გათამაშება და საშუალო დისტანციიდან სროლისთვის ხელსაყრელი პოზიციის შერჩევა. ამ ორი, ერთი შეხედვით საწინააღმდეგო ტექნიკური ხერხის მონაცვლეობამ არმიელები ჩვეული კალაპოტიდან ამოაგდო. კიეველებმა ნერვიულობა დაიწყეს, რაც ცუდი მოკავშირეა მაშინაც კი, როცა მოედანზე თანაბარი ბრძოლაა გაჩაღებული. „ბურევესტნიკი“ კი შეხვედრას დიდი უპირატესობით იგებდა...

ერთი სიტყვით, „ბურევესტნიკმა“ (გლურჯიძე, ალთაბაევი, ჩხიკვაძე, ბიჭიაშვილი, პულავსკი, ძიძიგური) კარგი მაგალითი გვიჩვენა იმისა, თუ როგორ უნდა სიმაღლის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ წლევანდელ სეზონში თბილისელებს ბევრჯერ მოუხდებათ „მაღალი“ გუნდების წინააღმდეგ თამაში. და თუ ისინი მომავალში სიმაღლეს ასე ეფექტურად დაუპირისპირებენ სისწრაფეს, დაბეჯითებით შეიძლება თქმა, რომ სეზონის ძირითად ამოცანას წარმატებით გადაჭრიან.

**ნ. გუგუშვილი.**

## ქალებიც ჩაებნენ ბრძოლაში

8 დეკემბერს დნეპროპეტროვსკსა და კაუნასში სტარტი აიღო სსრ კავშირის ჩემპიონატმა კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის. მოგვყავს პირველ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: ტტტ (რიგა) — „სტალი“ (დნეპროპეტროვსკი) 83:53 (39:31), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი) 66:61 (41:28), „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 80:64 (47:28), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) 75:55 (42:28).

## ახალი ამბები

**● მოსკოვი, 8 დეკემბერი.** გაზეთ „იზვესტიას“ თასზე ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირში დღეს გაიმართა ერთი მატჩი. შვედეთის ნაკრებმა დაამარცხა ფინეთის გუნდი — 2:1.

**● კამპალა, 8 დეკემბერი.** უგანდის დედაქალაქში გაიმართა აფრიკის ამ ქვეყნისა და რსფსრ-ს მოკრივეთა ამხანაგური მატჩი. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 7:4. სტუმრები მორიგ მატჩს გამართავენ კენიის დედაქალაქში ამ ქვეყნის ნაკრებ გუნდთან. შეხვედრა ჩატარდება 11 დეკემბერს.

**● პაისვასერი, 8 დეკემბერი.** აქ სტუმრად მყოფ ჩეხოსლოვაკიელ ჰოკეისტთა გუნდს ზკლ-ს (ბრნო) ამხანაგური მატჩი ჰქონდა გდრ-ის ჩემპიონთან, ვაისვასერის „დინამოსთან“. შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 6:4.

**● ტალინი, 8 დეკემბერი.** საერთაშორისო შაშში საკავშირო ჩემპიონატს ახალი ლიდერები ჰყავს. ესენი არიან მსოფლიო ჩემპიონი ანდრეიკო და მ. კორხოვი. XVI ტურში პირველმა დაამარცხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი შჩოგოლევი, კორხოვი ყაიმზე შეუთანხმდა ოგოროდნიკოვს. მათ 10,5-10,5 ქულა აქვთ. განტვარგი უზბეკეთის წარმომადგენელ დავიდოვთან დამარცხდა და ლიდერობაც დაკარგა.

**● ბელგრადი, 8 დეკემბერი.** კლასიკურ მოჭიდავეთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში 10 საბჭოთა სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრებაში გამოდიოდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ათლეტები. საბჭოთა სპორტსმენებიდან მხოლოდ ი. მუხარლიამოვმა და ა. იურკევიჩმა შეძლეს პირველი ადგილების დასაკუთრება. მათი 5 თანაგუნდელი საპრიზო ადგილზე გავიდა.

**● ლონდონი, 8 დეკემბერი.** დიდი ბრიტანეთისა და პოლონეთის მოკრივეთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეხვედრამ ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. სტუმრები აშკარად სჯობდნენ მეტოქეებს და მატჩიც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 8:2.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 241 (4235)

1970 წ. 10 დეკემბერი. ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## როცა გაზეთი [illegible] იყო... 1945

**◆ ფლორენცია, 9 დეკემბერი.** ევროპის ჩემპიონებს — იტალიის ნაკრების ფეხბურთელებს აქ ევროპის პირველობის მეორე შესარჩევი მატჩი ჰქონდათ ირლანდიის ეროვნულ გუნდთან. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0. ბურთები გაიტანეს დე სისტიმ, ბონისენიამ და პრატიმ. იტალიელები სათავეში მოექცნენ VI შესარჩევი ჯგუფის გათამაშების ცხრილს. მათ 4 ქულა აქვთ ამდენივე შესაძლებლიდან.

ჭადრაკი

## ფინიშის ციებ-ცხელება

**პალმა დე მალიორკის საზონათშორისო ტურნირი. მდგომარეობა 21 ტურის შემდეგ: რ. ფიშერი (აშშ) — 15,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ე. გელერი (სსრ კავშირი) — 14, ბ. ლარსენი (დანია) — 13 ქულა და 1 გადადებული პარტია, რ. ჰიუბნერი (გფრ) — 12,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია) — 12 ქულა და 1 გადადებული პარტია, ვ. ულმანი (გდრ) — 12, მ. ტაიმანოვი (სსრ კავშირი) — 11,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ე. მეკინგი (ბრაზილია), ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი), ო. პანო (არგენტინა) — 11,5-11,5, ლ. პორტიში (უნგრეთი) — 11 ქულა და 3 გადადებული პარტია.**

მწვავე იყო XXI ტური, რომელშიც ლიდერთა ჯგუფიდან მხოლოდ ულმანი და მეკინგი დაზარალდნენ. ულმანს მოუგო ჰიუბნერმა, რომელმაც ამ გამარჯვებით ექვსეულში მოხვედრისა და დიდოსტატის ნორმატივის შესრულების ნაღდი შანსი მიიღო. მეკინგმა წააგო ფიშერთან. ამერიკელ დიდოსტატს ამ დღეს დანებდა დ. მინიჩიც (იუგოსლავია) XIV ტურის გადადებულ პარტიაში. ამ ორმა მოგებამ კიდევ უფრო განამტკიცა ფიშერის ერთპიროვნული ლიდერობა.

გელერი ყაიმს დასჯერდა მ. მატულოვიჩთან (იუგოსლავია), ტაიმანოვი — ვ. ჰორტთან (ჩეხოსლოვაკია) და პოლუგაევსკი — ს. ნარანიასთან (ფილიპინები).

გლიგორიჩმა დაამარცხა ე. ხიმენესი (კუბა), ხოლო პანომ — მინიჩი.

გადაიდო შემდეგი პარტიები: ლარსენი — პორტიში, ს. რეშევსკი (აშშ) — ბ. ივკოვი (იუგოსლავია), უ. ადისონი (აშშ) — ტ. უიტუმენი (მონღოლეთი), ვ. სმისლოვი (სსრ კავშირი) — უ. რუბინეტი (არგენტინა), მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია) — ტ. სათლზი (კანადა).

ამავე დღეს XX ტურის დაუმთავრებელ პარტიებში რეშევსკი დანებდა გელერს, ხოლო პოლუგაევსკი და მატულოვიჩი ყაიმზე შეთანხმდნენ.

## ყველას დრო არ ეყო

**რიგა, 9 დეკემბერი.** სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 38-ე ჩემპიონატის განვლილ 9 ტურში 13 პარტია დარჩა დაუმთავრებელი. ამ პარტიების გათამაშება გუშინდელი დღისთვის იყო დანიშნული, მაგრამ ყველა მაინც ვერ დაბოლოვდა.

ორი გამარჯვება იზეიმა ვ. კორჩნოიმ (ლენინგრადი). მან მოუგო თანაქალაქელს, ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტს, ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონს ა. კარპოვსა (ეს კარპოვის პირველი წაგებაა ტურნირში) და მოსკოველ ვ. ლიბერზონს. მ. ცეიტლინთან (ლენინგრადი) სათამაშოდ კორჩნოის დრო არ ეყო.

ჩემპიონატის ლიდერი ვ. ტუკმაკოვი (ოდესა) დაუზავდა კალინინგრადელ ი. დემენტიევს. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე, ი. პლატონოვი (კიევი) — ვ. კარასიოვი (ლენინგრადი) და ვ. სავონი (ხარკოვი) — ვ. ბაგიროვი (ბაქო).

ი. ავერბახმა (მოსკოვი) სძლია ცეიტლინს, ხოლო ო. მოისეევმა (მოსკოვი) მოსკოვის ჩემპიონს ი. ბალაშოვს.

სხვა პარტიების დასამთავრებლად დრო აღარ დარჩა.

კვლავ ლიდერობს ვ. ტუკმაკოვი — 7 ქულა. მას კვალში მიჰყვება ვ. კორჩნოი — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია. მ. პოდგაეცს (ოდესა) 6 ქულა აქვს.

## ოლიმპიური რეზერვის შემოწმება

*ხვალ რიბინსკში სტარტს აიღებს ძიუდოისტთა პირველი საკავშირო ტურნირი. რატომ პირველი, როცა ჩვენში ადრეც ჩატარებულა საკავშირო შეჯიბრებები? საქმე ისაა, რომ ამ ტურნირში გამარჯვებული სპორტსმენი ფაქტიურად სსრ კავშირის ჩემპიონი იქნება. ასეთ ტიტულს კი ძიუდოისტებს აქამდე არ ანიჭებდნენ.*

*ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში კარგა ხანია არსებობს სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების ეგრეთ წოდებული საყრდენი პუნქტები, რომლებსაც უმთავრესად ძიუდოისტთა რეზერვის აღზრდა და მომზადება ევალებათ. ასეთი პუნქტები არსებობს, მაგალითად, მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინაში, ბელორუსიაში. არსებობს იგი საქართველოშიც, კერძოდ თბილისსა და გორში (ჯგუფები შექმნილია უმაღლესი სპორტული დაოსტატების № 1 რესპუბლიკური სკოლის ბაზაზე). აი, სწორედ ამ პუნქტების პირად-გუნდური პირველობა გაიმართება რიბინსკში.*

*ჩვენი რესპუბლიკიდან ასპარეზობაში 19 ძიუდოისტი მონაწილეობს — 8 თბილისიდან და 11 გორიდან. პირველობისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან ცნობილი სპორტსმენები ფ. მარტყოფლიშვილი, რ. მაღალთაძე, გ. გოგოლაური, ნ. ექვთიმიშვილი, ვ. ბორჩაშვილი. მათს მხარდამხარ იბრძოლებენ ახალგაზრდა ოსტატები შ. ჩოჩიშვილი, ნ. სალთხუციშვილი, ა. მუზაევი, ჯ. ნინიაშვილი და სხვ.*

*როგორც ხედავთ, მონაწილეთა შორის არ არიან სსრ კავშირის ჩემპიონები გ. ონაშვილი და შ. ფიცხელაური. ისინი ახლახან დაბრუნდნენ შეჯიბრებიდან და ტრავმებს მკურნალობენ. ცხადია, ამის მიზეზით თბილისის გუნდი ერთგვარად შესუსტებული შემადგენლობით გამოვა.*



**პოტსდამი (გდრ).** მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ასპარეზობაში სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ბრწყინვალე წარმატება მოიპოვეს: დაიკავეს საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხური. I ადგილზეა ა. ნაზმუტდინოვა. სვერდლოვსკელი სტუდენტი სამივე ნებისმიერ ვარჯიშში საუკეთესო იყო — 29,25 ქულა. II ადგილზე გავიდა ომსკელი გ. შუგუროვა — 28,80, III — ასტრახანელი ა. ზასუხინა — 28,70. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები.

სურათზე: შეჯიბრებაში გამარჯვებული ა. ნაზმუტდინოვა.

ადნ—საკდესის ფოტო.

# ვაი ჭკუისაგან

აჭარის სპარტაკიადის ტექნიკურ შედეგებს „ლელო“ უკვე იტყობინებოდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, გაზეთს საღებავი ჯერ კიდევ არ შეშრობოდა, რომ რედაქციაში მოვიდა საგანგაშო ცნობები: „უადგილო ცვლილებები და დარღვევები დებულებაში“, „მიკერძოება მსაჯობაში“, „ყალბისმქნელები“... ეს ცნობები აჭარის სპარტაკიადაში დაშვებულ შეცდომებს ამხელდნენ.

წერილების ავტორები გვწერდნენ, რომ აჭარის სპარტაკიადა ასე უხეიროდ, არაორგანიზებულად, დამახინჯებებით არასოდეს გამართულა. სიგნალები საყურადღებო იყო, მით უმეტეს, რომ ეს შეჯიბრებები სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების ერთ-ერთი ეტაპი გახლდათ. ფაქტები ადგილზე შემოწმებას მოითხოვდა...

...აჭარის ფიზკულტურის კომიტეტში იმ დილითაც ჩვეულებრივი, საქმიანი ფუსფუსი იყო. ყველაფრით ჩანდა, რომ აქ ჯერ კიდევ სპარტაკიადით „ცხოვრობდნენ“. მასპინძლებმა ღონისძიების „წარმატებით“ დამთავრება გვახარეს. როცა ჩვენი ჩასვლის მიზანი შეიტყვეს, ნირი ეცვალათ, მაგრამ უკან როდი დაუხევიათ: ცხრილები და ასპარეზობის დოკუმენტებით დაზერილი სწრაფსაკერები მოიშველიეს.

„თუ სათავე მღვრიეა, ბოლოში ამათ იქნება წმინდა წყლის ძებნა“ — ამბობს ილია. ჩვენც სათავითვე — სპარტაკიადის დებულების გაცნობით დავიწყეთ. დებულება შეჯიბრების კანონია. სანამ ასეთ ძალას მიანიჭებდნენ, მისი ყოველი პუნქტი, წინადადება, სიტყვაც კი გულდასმით უნდა აიწონ-დაიწონოს, დებულება ორგანიზაციებმა სრულყოფილი სახით უნდა მიიღონ, ვინაიდან შეჯიბრებაში მონაწილე კოლექტივებისთვის იგი სახელმძღვანელოა, რომლის საფუძველზეც საკუთარ შესაძლებლობათა გათვალისწინებით არჩევენ სპორტსმენებს, ჰკომპლექტებენ გუნდებს.

ავტონომიური რესპუბლიკის სპარტაკიადის დებულება შესაბამის ორგანიზაციებს 20 მარტს დაეგზავნა, აჭარის ფიზკულტურის კომიტეტს კი მისი გადაკეთება ერთი კვირის მერე გაახსენდა. კოლეგიის სხდომაზე დებულებაში რაიმე ცვლილებების შეტანის შესახებ სიტყვაც არავის უთქვამს, თუმცა ბევრს არ მოსწონდა პუნქტი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ქალაქისა და რაიონების ნაკრები გუნდები მხოლოდ სამ სახეობაში — ტყვიის სროლაში, თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში იასპარეზებენ, სპორტსაზოგადოებები და უწყებები კი 17 სახეობაშიო. მართლაც, ქალაქისა და რაიონებისთვის მხოლოდ 3 სახეობის დაწესება სპორტის მასობრიობისთვის სტიმულს კი არ იძლევა, ხელს უფრო შეუშლის წინსვლას.

პირველად ხმა ქობულეთელებმა აღიმაღლეს — პროგრამაში ველოსპორტის შეტანა მოითხოვეს. მართლაც რაიონში ველოსპორტის 6 ჯგუფია, ჰყავთ კარგი სპორტსმენებიც, რომლებიც აჭარისა და საქართველოს ტურნირებში ბევრჯერ წარმატებით გამოსულან. სად უნდა შეემოწმებინათ მათ ძალა, თუ არა თავიანთი რესპუბლიკის სპარტაკიადაში?

ქობულეთელთა წინადადება ყურად არ იღეს, საბუთად ის მოიტანეს, დებულების რომელიმე პუნქტის შეცვლის უფლება არა გვაქვსო, თანაც ველოსპორტი აჭარის სხვა რაიონებში მასობრივი არ არისო. განა ეს ქობულეთელი სპორტსმენების დანაშაულია?

და მაინც, კოლექტივებს დებულების პირველმა ცვლილებამ პირველი ეტაპის ფინიშზე მოუსწრო: სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების პროგრამის 7 სახეობით შემცირების ხარჯზე ქალაქისა და რაიონების პროგრამა გაზარდეს. დაგვიანებულ ცვლილებებს სარგებლობა არავისთვის მოუტანია.

სპარტაკიადის ფინალი კარს იყო მომდგარი, რომ დებულებაში ახალი ცვლილებები გაჩნდა: აჭარის ფიზკულტურის კომიტეტი ბათუმისა და რაიონების ფიზკულტურის კომიტეტებს, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ხელმძღვანელებსატყობინებდა: ჩათვლაში II თანრიგის შედეგები შევა, ამიტომ მძლეოსნობაში, ტყვიის სროლასა და ძალოსნობაში საასპარეზოდ ნუ ჩამოიყვანთ ისეთ სპორტსმენებს, რომლებსაც აღნიშნული თანრიგის შესაბამისი ნორმატივების ჩვენება არ შეუძლიათო. ყველაფერი აირია. მანამდე დებულებაში მხოლოდ ის ეწერა, რომ ფინალში მონაწილე სპორტსმენები მეორე თანრიგოსნები მაინც უნდა ყოფილიყვნენ.

სპარტაკიადის ორგანიზატორების ამ ნაგვიანევ გადაწყვეტილებას ყველა მაინც არ დაემორჩილა. ტურნირში გამოვიდა ბევრი სპორტსმენი, რომელთაც ჯიბეში მეორეთანრიგოსნის მოწმობა ჰქონდათ, გუნდებისთვის კი თითო ქულაც არ მოუტანიათ.

ქალაქისა და რაიონების კოლექტივების საერთო გუნდურ ჩათვლაში ბათუმელთა წარმატება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ II ადგილისთვის ბრძოლაში აურზაურის მთელი ჯაჭვი ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების კონფლიქტზე ივება, რომლის გამწვავებაშიც დიდი როლი შეასრულეს მსაჯთა კოლეგიამ და აჭარის ფიზკულტურის კომიტეტის ზოგიერთმა წარმომადგენელმა. მათი სიმპათიები რატომღაც ხელვაჩაურელთა მხარეს იხრება.

მივყვეთ ფაქტებს. ჩვენს ხელთაა სათანადო ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, რომლის ძალითაც მოჭიდავე გ. საბაშვილს უფლება ჰქონდა ქობულეთის რაიონის სპორტული ინტერესები დაეცვა, მაგრამ სპარტაკიადის სამანდატო კომისიაში საბაშვილს რატომღაც ამის ნება არ მისცეს, შეჯიბრების დღეს კი, ბათუმის წარმომადგენელთა პერსონალური განაცხადის საფუძველზე, ამ ქალაქის გუნდის ინტერესების დაცვა დაავალეს (?!). მანამდე საბაშვილი ბათუმის სპარტაკიადაშიც მონაწილეობდა.

ხელვაჩაურელებმა კლასიკურ ჭიდაობაში სარბიელზე გამოიყვანეს ბუფეტის გამგე ა. მახარაძე, რომელმაც ბათუმელ ი. კვაჭაძესთან შეხვედრა დიდი გაჭირვებით დაამთავრა, ერთი საათის შემდეგ მახარაძეს უნდა ეჭიდავა ქობულეთელ რ. გორგილაძესთან, რომელმაც იმ დღეს გარკვეული წონა დაიკლო. ცხადია, უკვე დაღლილ სპორტსმენს ამდენი არ შეეძლო. მსაჯთა კოლეგიამ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, ორთაბრძოლა მეორე დღისთვის გადადო (?!). თანაც, იმდენი მოახერხეს, რომ მახარაძეს გორგილაძესთან შეხვედრა ფრედ დაამთავრებინეს, რაც საკმარისი აღმოჩნდა რათა ხელვაჩაურელები ქულით დაწინაურებულიყვნენ.

სამბისტთა ტურნირის დაწყების წინ ხელვაჩაურელებმა ამ სახეობის მთავარ მსაჯს, სამ სახეობაში სპორტის ოსტატს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს გ. გაროზაშვილს აცილება მისცეს: ქობულეთელთა წარმომადგენელიაო. თხოვნა დააკმაყოფილეს და მთავარი არბიტრის როლი მიანდეს შედარებით დაბალი კვალიფიკაციის მსაჯს, ბათუმელ გ. გოგიჩაიშვილს. ხინამდვილეში გაროზაშვილი განაცხადში არც მწვრთნელადაა მოხსენებული, არც გუნდის წარმომადგენლად. ქობულეთელებმა გოგიჩაიშვილს მისცეს აცილება, მაგრამ მათი პროტესტი უსაფუძვლოდ სცნეს (სპარტაკიადის მსაჯთა კოლეგიის სხდომაზე არც ერთ პროტესტზე არ უმსჯელიათ).

მოხდა სხვა უფრო სამარცხვინო ამბავიც: აჭარის სპარტაკიადის დღეებში მძლეოსნები — ხელვაჩაურელი სპორტის ოსტატი ი. ზეინან-ოღლი და ქობულეთელი სპორტის ოსტატი შ. ართმელაძე სხვა უფრო დიდ ტურნირში მონაწილეობდნენ. სპარტაკიადის შტაბში გადაწყდა: შეჯიბრებიდან მოსული ცნობის საფუძველზე ორივეს შედეგები ჩასთვლოდათ გუნდებს, თუ სპორტსმენებს ჩასათვლელი მაჩვენებლები ექნებოდათ მოპოვებული. დეპეშა, რომელიც აჭარის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. მამუჭაძემ ქობულეთის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს ი. მეავანაძეს და ამ რაიონის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარეს თ. ლეჟავას გააცნო, და რომელსაც ხელს აწერდა საქართველოს მძლეოსანთა მთავარი მწვრთნელი რ. ტრაპაიძე, იტყობინებოდა, თითქოს ზეინან-ოღლიმ მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა, ართმელაძემ კი II თანრიგის შედეგებიც ვერ აჩვენა. ქობულეთის სპორტის მესვეურები დააეჭვა იმან, რომ დეპეშის შრიფტი გაზეთიდან ამოჭრილი ასოებით იყო შედგენილი, ამ დეპეშის სიყალბეში მამუჭაძე პარტიის ქობულეთის რაიკომის პირველ მდივანთან რ. სიხარულიძესთან საუბარში გამოტყდა.

ტყვიის მსროლელთა საქმიანობასაც გადავხედოთ. აქაც ბევრი რამ საეჭვოა. შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ო. მელია გამოცდილი სპეციალისტია. საქართველოს ნაკრების ყოფილ წევრს ასეთი შეცდომები არ უნდა დაეშვა. უკვე ვთქვით, რომ დებულებით ჩათვლაში II თანრიგის შედეგები შედიოდა, ტყვიის მსროლელთა პროგრამაში კი ისეთი ვარჯიშები იყო, რომლებსაც II თანრიგის შესაბამისი ნორმატივები საერთოდ არა აქვთ და I თანრიგიდან ან ოსტატობის კანდიდატობიდან იწყება. ხელვაჩაურელებს — ვ. პელენიოვს მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 60 გასროლაში, გ. ქერიხოვს მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე 60 გასროლაში და ა. ივაკინს ამავე იარაღით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში სათანრიგო ნორმატივები არ შეუსრულებიათ. მიუხედავად ამისა, მსაჯების დახმარებით მათ ხელვაჩაურის გუნდს 17 ქულა „მოუტანეს“. სპორტის ოსტატმა პელენიოვმა მცირეკალიბრიანი შაშხანით მცირე სტანდარტზე სროლაში I თანრიგის ნორმა შეასრულა, მაგრამ რაიონის რეკორდის დამყარებისთვის კიდევ ქულა დაუმატეს. დებულებაში ასეთი არაფერი წერია.

იმ დასკვნამდე მივედით, რომ სპარტაკიადაში სხვა დარღვევებიც იყო, სპარტაკიადის მთავარ მსაჯთა კოლეგია, სახეობების უფროსი მსაჯები ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ ხელვაჩაურის რაიონი როგორმე II ადგილზე გაეყვანათ. ასეთი სპარტაკიადა ვის რათ უნდა, ვის რა სარგებლობას მოუტანს?

თუ გუნდებსაც ისე დააკომპლექტებენ, როგორც სპარტაკიადა ჩაატარეს, ცხადია, აჭარის სპორტსმენები საქართველოს სპარტაკიადაში დიდ წარმატებებს ვერ მოიპოვებენ, თუმცა ისინი კი არიან მაღალი ადგილების ღირსნი, თუ კი ხელს არავინ შეუშლით.

**თ. გახეჩილაძე,**
(ჩვენი სპეც. კორ.).
**ლ. ტრაპაიძე,**
**ო. მურვანიძე,**
(ჩვენი კორესპონდენტები).
ბათუმი — ქობულეთი.

**რედაქციისგან:** როცა წერილი დასაბეჭდად მოვამზადეთ, რედაქციამ „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოდან მიიღო წერილი, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ აჭარის ფიზკულტურული ორგანიზაციები საერთოდ დადგენილი ნორმებისა და კანონების წინააღმდეგნი არიან. ეტყობა, ბათუმისა და აჭარის ფიზკულტურის მესვეურებს სურთ ფიზკულტურასა და სპორტში გადატრიალება მოახდინონ. ვბეჭდავთ ამ წერილს.

## პატივცემულო რედაქცია!

ოქტომბერში გაიმართა ბათუმის V სპარტაკიადის ფინალური ტურნირი. დებულებით საასპარეზოდ სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდები დაიშვებოდნენ, მაგრამ, რატომღაც დინამოელებს, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს გ. გოგიჩაიშვილს, სპორტის ოსტატ პ. გაგუას, სპორტის ოსტატობის კანდიდატს დ. ზოიძეს, პირველთანრიგოსან მძლეოსანს ვ. ფედოსეენკოვას, ბათუმის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრებს ვ. პავლოვსა და თ. ბეჟენიძეს თავიანთი საზოგადოების ღირსების დაცვის უფლება არ მისცეს და აიძულეს „ბურევესტნიკის“ სახელით ეასპარეზათ, ვინაიდან ბათუმის პედინსტიტუტის სტუდენტები არიან.

სტუდენტებს რომ თავიანთი სასწავლებლის სპორტული ღირსების დაცვის უფლება აქვთ, უდავოა, მაგრამ მათ ეს მხოლოდ საკლუბო ტურნირებში შეუძლიათ, „ბურევესტნიკს“ კი სხვა საზოგადოების სტუდენტ სპორტსმენთა ძალით გადაბირება არ ეკადრება. მსაჯთა კოლეგიისთვის, ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტისთვის ხომ კარგად იყო ცნობილი აჭარის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის 1970 წლის 30 იანვრის № 3 ბრძანება, რომელშიც ნათქვამია, რომ ზემოთ დასახელებული სპორტსმენები აჭარის ნაკრების წევრები და „დინამოს“ წარმომადგენლები არიან.

**ვ. როგავა,**
„დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგე.

# მსოფლიო რეკორდზე უკეთესი




ავჭალის სასროლეთზე დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა XXII ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქვეყნის ყველა სამხედრო ოლქის გუნდები. ჩათვლა ოლიმპიური იყო. ვაჟები I-VIII, ხოლო ქალები I-VI ადგილებზე გასვლის შემთხვევაში აძლევდნენ გუნდებს სათანადო ქულებს. თანაც მათ საამისოდ, სულ ცოტა, I თანრიგის ნორმატივი მაინც უნდა შეესრულებინათ. იმ სპორტსმენებს კი, რომლებიც სპორტის ოსტატის ნორმატივს შეასრულებდნენ ან დაამტკიცებდნენ, ქულები ორმაგად ეწერებოდათ. შეჯიბრების მონაწილენი, რომლებიც „ჩამთვლელ“ ადგილებს ვერ დაისაკუთრებდნენ, მაგრამ სპორტის ოსტატის ნორმატივს შეასრულებდნენ, გუნდს 2-2 ქულას აძლევდნენ. მსოფლიოს ან ევროპის რეკორდის დამყარებისთვის იწერებოდა 10 ქულა, სსრ კავშირის რეკორდის დამყარებისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებისთვის — 5 ქულა. ყოველივე ამის გამო ბრძოლა დაძაბული იყო და რეკორდებიც გაუმჯობესდა.

„გაქცეულ ირემზე“ 50 ერთმაგ გასროლაში თავი ისახელა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. სტარატელიოვმა (მოსკოვის სამხედრო ოლქი), რომელმაც 241 ქულა დააგროვა. ეს შედეგი ორი ქულით აღემატება მსოფლიო რეკორდს. „გაქცეულ ტახზე“ სროლაში სტარატელიოვმა მსოფლიოს კიდევ ერთი ახალი რეკორდი დაამყარა — 571 ქულა მოაგროვა, სპორტის ოსტატმა რ. ფროლოვამ (კიევი) მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე ჩქაროსნულ სროლაში შეიარაღებულ ძალთა რეკორდი ქულით გააუმჯობესა — 590.

საინტერესო გამოდგა ვაჟთა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში. აქ პირველობა ლენინგრადელმა სპორტის ოსტატმა ვ. ზინჩენკომ მოიგო — 558 ქულა. სხვა ადგილების ბედი ბოლო სერიებმა გადაწყვიტა, ვინაიდან ბაქოელ ა. სპივაკოვს, ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო გუნდის წევრს ა. კრასტილევსკისა და თბილისელ ვ. სალუქვაძეს საბოლოოდ 551-551 ქულა დაუგროვდათ. II ადგილი სპივაკოვს მიეკუთვნა, III — კრასტილევსკის. ზინჩენკოს გადაეცა საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის სპეციალური პრიზი ამ ვარჯიშში გამარჯვებისთვის.

ტურნირზე დაწესებული იყო, აგრეთვე, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური პრიზი ახალგაზრდებში მოპოვებული საუკეთესო შედეგისთვის. პრიზი გადაეცა თბილისელ ვ. კუდრიავცევას მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში გამარჯვებისთვის.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონობა მესამედ მოიპოვეს კიევის სამხედრო ოლქის ნაკრების წევრებმა. II ადგილზე არიან მოსკოვის სამხედრო ოლქის, III — გერმანიაში მყოფი საბჭოთა გარნიზონის მსროლელები. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდმა 22 კოლექტივში XI ადგილი დაისაკუთრა.

**რ. კაცობაშვილი.**

**გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს. ქალები. მცირეკალიბრიანი შაშხანით დგომელა და ჩოქელა სროლა.** ლ. სოკოლოვა (ლენინგრადი) — 738, ო. ჩერნოვა (ჩრდილოეთ კავკასია) — 737, ლ. არენდი (მოსკოვი) — 733; **მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა.** ვ. მარტემიანოვა — 567, კ. ბოიკო (ორივე — მოსკოვი)—559, ჩერნოვა — 558; **მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ჩქაროსნული სროლა.** ნ. სტოლიაროვა (კიევი) — 565, ა. სავინა (გმსჯ) — 562, მ. კურგანსკაია (კიევი) — 558 (ამ ვარჯიშში ო. კუდრიავცევა V ადგილზე გავიდა — 550); **პნევმატური შაშხანით სროლა.** ჩერნოვა— 380, მარტემიანოვა — 377, ბოიკო — 375; **პნევმატური პისტოლეტით სროლა.** სტოლიაროვა — 380, თ. ლომოვა (ვმსჯ) — 376, ნ. იბრაგიმოვა (მოსკოვი) — 374.

**ვაჟები. „გაქცეულ ირემზე“ 50 ერთმაგი გასროლა.** სტარატელიოვი — 241, ვ. პროხოროვი (შორეული აღმოსავლეთის ოლქი)—236, ა. გაზოვი (გმსჯ) — 233 (თბილისელმა ა. აგარონოვმა 231 ქულით VI ადგილი დაიკავა); **„გაქცეულ ირემზე“ 25 ორმაგი გასროლა.** პროხოროვი — 234, ვ. ჰერბედა (გმსჯ) — 232, ა. იაკუნინი (მოსკოვი) — 229; **ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა.** ნ. რასჩიოტნოვი (მოსკოვი) — 575, ს. კუდერსკი (კიევი) — 575, ვ. ეგოვი (მოსკოვი) — 574; **სტანდარტზე (3×40) სროლა.** რასჩიოტნოვი — 1151, ბ. მელნიკი (კარპატისპირეთის ოლქი) — 1142, ვ. ვლასოვი (მოსკოვი) — 1131; **არმიული შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა.** ა. ჩუბკო (კარპატისპირეთი) — 563, ვ. ხალიკმა (ლენინგრადი) — 563, მელნიკი — 556; **„გაქცეულ ტახზე“ 20 გასროლა.** ა. კედიაროვი (გმსჯ) — 171, ა. სელიანოვი (კარპატისპირეთი) — 168, ვ. ერმოლინი (იმიერბაიკალი) — 167; **„გაქცეულ ტახზე“ 60 გასროლა.** სტარატელიოვი — 571, ა. ვოლოდინი (კიევი) — 563, ი. ნესტეროვი (ლენინგრადი) — 558; **მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე სროლა.** სპივაკოვი — 569, ე. ბაკალოვი (ბელორუსია)—568, ვ. ტორშინი (ვოლგისპირეთი) — 568; **მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სროლა.** ა. ონიშჩუკი (გმსჯ) — 591, ვ. მეერზონი — 591, ვ. ბონდარი (ორივე — ლენინგრადი) — 589; **პნევმატური პისტოლეტით სროლა.** რ. სულეიმანოვი (ვოლგისპირეთი) — 384, ვ. ცაზოლოვი (ჩრდილოეთ კავკასია) — 384, ვ. სემიონოვი (მოსკოვი) — 382; **პნევმატური შაშხანით სროლა.** რასჩიოტნოვი — 380, ა. მაქსიმოვი (გმსჯ) — 378, ლ. ლუსტბერგი (მოსკოვი) — 377.

## რამდენიმე სტრიქონით

### ტყვარჩელი

დოსააფის აფხაზეთის კომიტეტმა ტყვარჩელში მოაწყო მოტოკროსი, რომელიც საქართველოსა და აფხაზეთის გასაბჭოების 50 წლისთავს მიეძღვნა. „175-იანებით“ შეჯიბრება პირველთანრიგოსანმა გ. გაგუამ მოიგო. „350-იანებით“ ტურნირში იმარჯვა რ. მინოსიანმა, საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას სოხუმის დოსააფის ავტო-მოტოკლუბის სპორტსმენებმა აჯობეს.

**გ. ქობალია.**

### ახმეტა

გაიმართა რაიონის პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ფალავნები სამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდნენ. გამარჯვებულებს — ა. ონიაშვილს, ლ. ფრუიძესა და თ. ხუგაევს შესაბამისად გადაეცათ „იმედის“, ფ. ჩიკვილაძისა და ნ. ყაჩმაზაშვილის თასები.

**შ. ნათელაური.**

### გულრიფშში

ფეხბურთელთა 12 კოლექტივი მონაწილეობდა სარაიონო პირველობის გათამაშებაში. ფინალური მატჩი შედგა გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობისა და სოფ. ფშაფის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის გუნდებს შორის. ფშაფელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 და მოიპოვეს I ადგილი.

**შ. ჯალაღონია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენიშვნები საფეხბურთო სეზონის გამო

# 3. ვარსკვლავების როლი — ჩემპიონატის აღმოჩენა

მექსიკის ჩემპიონატმა პირველ ყოვლისა ვარსკვლავების, ესე იგი, თამაშის კლასში სპეციალიზაციის მნიშვნელობა დაადასტურა. თუმცა, სჯობს თანმიმდევრობით მივყვეთ.

მეხიკოს შემდეგ დღემდე არ შეწყვეტილა ლაპარაკი კომპონენტებზე, — ტექნიკაზე, ტაქტიკაზე, ფიზიკურ მომზადებაზე, მორალურ-ნებელობით თვისებებზე. თავი მოგვძულდა — ყოველ ნაბიჯზე ეს სიტყვა გვესმის — კომპონენტი. კიდევ არაფერი, როცა მას ჩვენი ფეხბურთისა და მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშების შედარებისას ხმარობენ. მაგრამ საშინელებაა, როცა ცალკეული ფეხბურთელების შეფასების დროსაც კომპონენტებზე დაიწყებენ ლაპარაკს, როცა ცოცხალ ადამიანს რაღაც მექანიკური ნაწილების გროვად — კომპონენტებად მიიჩნევენ და ამის მიხედვით განიხილავენ. ეს ნაწილობრივ იმიტომ ხდება, რომ არა გვაქვს უნარი ვიმსჯელოთ ცოცხალ ადამიანზე მისი ყველა ცალკეული თვისებით, ვიმსჯელოთ ერთიანად, როგორც პიროვნებაზე ფეხბურთში. როგორც ჩანს, ეს გამოწვეულია იმითაც, რომ ჩვენს ფეხბურთელებში ეს კომპონენტები დისპროპორციულად ვითარდება, რასაც ვერ იქნა და თავი ვერ დავაღწიეთ. ერთი სიტყვით, კომპონენტებზე ლაპარაკი მოდად იქცა ფეხბურთში. მიუხედავად ამისა, მოდით ჩვენ არა კომპონენტებზე, არამედ ფეხბურთელებზე ლაპარაკით დავიწყოთ.

რატომ ფეხბურთელებზე ლაპარაკით? — შეიძლება შემოგვედავოს ვინმე, — განა მექსიკაში ჩვენი ნაკრების ცუდი თამაშის მთავარი მიზეზი სწორედ ერთ-ერთი კომპონენტის — ტექნიკის ჩამორჩენა არ იყო? ტექნიკა მართლაც დაბალი იყო, მაგრამ არა იმდენად თავისთავად, რამდენადაც მსოფლიო ექსტრა-კლასის ფეხბურთელების სახით. სწორედ ამიტომ იყო, რომ ტექნიკის ნაკლი ახლა უფრო ძლიერად გამოიკვეთა.

მსოფლიოს საუკეთესო გუნდები ტექნიკის დემონსტრირებას ახდენდნენ თავიანთი უნიკალური ფეხბურთელების დონეზე, ჩვენ კი ისეთი ფეხბურთელების დონეზე, რომელთაგანაც დაახლოებით ოთხი თანაბარი ძალის გუნდის შედგენა მაინც მოხერხდებოდა. ამჯერად ტექნიკის ჩამორჩენა იმანაც გაამწვავა, რომ გუნდში გამორჩენილი ფეხბურთელები არ იყვნენ, რომ ხდებოდა სულ სხვადასხვა მასშტაბის მოთამაშეთა ტექნიკის შედარება.

ის კიდევ ცოტაა, რომ ჩვეულებრივი ფეხბურთელი ვარსკვლავს ვერ გაუტოლდება (ტექნიკას ვგულისხმობ). აქ პრინციპული განსხვავებაა. აქ მთავარია რომ უნარში განსხვავებას ემატება სხვაობა ამ უნარის გამოყენებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთელს უნიკალობას ანიჭებს არა ტექნიკური რეპერტუარის სიმდიდრე და ხარისხი, არამედ მისი მრავალფეროვნად, ორიგინალურად, ეფექტურად გამოყენების უნარი. უნიკალობა — ეს პირველ ყოვლისა ინტელექტის თვისებაა: საფეხბურთო ხედვის და აზროვნების სპეციფიკური საფეხბურთო შემოქმედებითი მუშაობის ფენომენალობა. ასეთი ფეხბურთელები რომ გვყოლოდა (ადრე კი მუდამ გვყავდა რამდენიმე) ჩვენი ტექნიკა სულ სხვაგვარად გამოჩნდებოდა მეხიკოში. მათი არყოლა ჩვენი მთავარი უბედურება იყო.

ფეხბურთის სათამაშო მანქანად გადაქცევისკენ მისწრაფებამ, თამაშის საშუალებათა გამარტივებამ და უნივერსალიზაციის ყალბმა იდეამ ფეხბურთელთა გამარტივებამდე და ნიველირებამდე მიგვიყვანა. მექსიკის გაკვეთილებმა გვიჩვენა, რომ არჩეული იყო არასწორი გზა.

დიახ, დადგა დრო ზოგიერთი ფასეულობა გადავაფასოთ. მართალია თუ არა, რომ „თავისებური“, გამომგონებლური თამაშით ვარსკვლავებს არევდარევა შეაქვთ გუნდში და კოლექტივს ხელს უშლიან? მართალია თუ არა, რომ ვარსკვლავები ცარიელი არტისტულობის, ინდივიდუალიზმისა და ანარქიის ხორცშესხმას წარმოადგენენ? შეეფერება თუ არა სინამდვილეს, რომ ვარსკვლავები სულაც არ დაგიდევენ კოლექტიურ ინტერესებს და მოითხოვენ, რომ საერთო ამოცანები მათს ეგოცენტრიზმს შეეწიროს? თუ ოდესმე მართლაც ხდებოდა რამე ამის მსგავსი, ბოლო ხანებში ვარსკვლავების დამოკიდებულება თავიანთი მოვალეობისა და კოლექტივისადმი შეიცვალა. ვარსკვლავების როლი მექსიკის ჩემპიონატში ნამდვილ აღმოჩენად იქცა. სწორედ ისინი წარმოადგენდნენ შეჯიბრების მშვენებას თავიანთი მდიდარი ტალანტით, რომელიც განუყოფლად ეკუთვნოდა მთელ კოლექტივს, კოლექტიურ თამაშს.

როგორღა იყო ფეხბურთელთა უნივერსალიზაციის საქმე? როგორ და ისე, რომ მექსიკაში სრულად გამოჩნდა ამ კონცეფციის უძლურობა. თუ ყველა ვალდებული იყო ყველგან და ყოველნაირად ეთამაშა, მაინც თითოეულ მათგანს თავისი ამოცანა ჰქონდა, ამპლუასთან, უნართან და შესაძლებლობასთან შეფარდებული. უნივერსალიზაციის წინასწარმეტყველნი გაცრუებულნი დარჩნენ და ეს ცალკეული ფეხბურთელების მოქმედების არის უჩვეულო გაფართოებით იყო გამოწვეული. სინამდვილეში მცველი თავისებურად მონაწილეობს იერიშში, თავდამსხმელი თავისებურად წყვეტს დაცვის ამოცანებს და ა. შ. სადაც უნდა ყოფილიყო პელე, რაც უნდა ეკეთებინა მინდორზე, ეს იყო ფორვარდი, — განუმეორებლად მშვენიერი, განსაკუთრებული, სხვებისაგან სრულიად განსხვავებული. ახლა ჟაირზინიო, ტოსტაო, რიველინო, გერსონი, ალბერტო? ან, თუ გნებავთ, გაიხსენეთ გფრ-ის გუნდიდან — ბეკენბაუერი, ზეელერი, მიულერი, გრაბოვსკი, ოვერატი, შნელინგერი, ფოგტსი. გაიხსენეთ ბევრი სხვა. ყველა მათგანი გამოკვეთილი ინდივიდუალობაა, რომლებიც სხვაში არ შეიძლება შეგეშალოს.

უბრალო ჭეშმარიტებათა გამეორება ლამაზი არ არის, მაგრამ ფეხბურთის მომავალი მდგომარეობს ფუნქციებისა და უნარის მიხედვით ჩამოყალიბებულ სპეციალიზაციაში: 11 ადგილი — 11 სხვადასხვა სპეციალობა. ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ მოთამაშე მთელ მინდორზე მოძრაობს, თამაშის ყველა ფაზაში მონაწილეობს და გუნდის ყველა წევრთან დაკავშირებულია. თუმცა სპეციალიზაცია მარტო ფეხბურთის რაღაც განსაკუთრებული თვისება როდია. კაცობრიობის მთელი პროგრესი შრომის განაწილებისა და სპეციალიზაციის განვითარებაზეა დაფუძნებული. ეს საერთო კანონზომიერებაა. ერთი რამ ცხადია. ტალანტების დანაკლისს და ტექნიკის ჩამორჩენას ხელი შეუწყო ჩვენი მოთხოვნების დონემ. ეს გარემოება ჯერ ყველას როდი აქვს საკმაოდ შეგნებული. მაგრამ ისიც ხომ საქმეა რომ თავისთავად საფეხბურთო ტექნიკის ასეთმა დაბალმა დონემ მაინც გამოიწვია საყოველთაო შემფოთება. ბოლოს და ბოლოს, მთავარი ის არ არის, რომელი კუთხიდან მიუდგები პრობლემას, მთავარია განიხილო იგი.

მაინც, რით გაგვაკვირვა საფეხბურთო ტექნიკის თვალსაზრისით მექსიკამ? მან გაგვაოცა არა ხერხების ასორტიმენტით, არამედ ხარისხით, მრავალფეროვნებით, რთულ სიტუაციებში უაღრესად დახვეწილი ტექნიკის ჩვენების უნარით. ჩვენს ფეხბურთელებში მეტისმეტად დიდია სხვაობა ტექნიკის ცოდნასა და მისი პრაქტიკულად გამოყენების უნარს შორის. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ელემენტარული ტექნიკა ჭარბობს. მკვეთრად ეცემა შესრულების დონე, აკურატულობა, სიზუსტე. აი, ეს არის მთავარი მინუსი. უფრო კონკრეტულად?

1. მსოფლიოს საუკეთესო გუნდებში თვალში საცემია ტექნიკისა და სისწრაფის ჰარმონიული შერწყმა. ისე ჩანს, რომ ტექნიკა არ აფერხებს სისწრაფეს, სისწრაფე კი ტექნიკას არ უშლის ხელს. ჩვენს ფეხბურთელებს კი სტანჯავთ დისპროპორციულობა, რაც უპირატესად სისწრაფის ჰიპერტროფიაშია გამოხატული. ჩვენი ფეხბურთელი თუ გაიქცა, პირველ ყოვლისა, საკუთარ ტექნიკას გაურბის. აქ სისწრაფე იმდენად ზედმეტი არ არის, რამდენადაც ტექნიკასთან შეუფერებელია. არადა, სისწრაფე მხოლოდ მაშინაა კარგი, როცა საერთო ამოცანის სამსახურში დგას. საფეხბურთო ოსტატობის შემადგენელი ნაწილების — განსაკუთრებით ფეხბურთელთა ტექნიკისა და სისწრაფის ჰარმონიული განვითარება — აი, ეს არის მექსიკაში ტექნიკის მხრივ მიღებული პირველი კონკრეტული გაკვეთილი.

2. გადაცემის სიზუსტის, ბურთის სწრაფ მოძრაობაში მიღებისა და დამუშავების ინტერესებისთვის ჩვენში მოითხოვენ, რომ გადაცემა მარტივი და, ამასთან, არამძლავრი იყოს. ამგვარად, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ტექნიკა უფრო „ჩქაროსნული“ ხდება ბურთის „ნელი სვლის“ ანგარიშზე.

საეჭვო აღმოჩენაა. მოგვცემს თუ არა ეს საბოლოო ანგარიშში მოგებას დროში და თამაშის გაძლიერებას? იქნებ ეს უფრო აძნელებს და ზიანს აყენებს თამაშს?

დავიწყოთ იმით, რომ მეხიკოში წუნის თვალსაზრისით ბევრი საყვედური ითქვა მუნტიანისა და ასათიანის მისამართით. მაგრამ, აბა, სცადეთ და გაგზავნეთ დაბალი ბურთი 10-15 მეტრით წინ, საჯარიმო მოედნის რაიონში, ამდენი ფეხბურთელის თავყრილობაში. რა გასაკვირია, რომ ასე „ნაბიჯით“ მიმავალმა ბურთმა მიზანს ვერ მიაღწიოს და გზაში იგი ვინმემ იგდოს ხელთ? ძლიერი გადაცემებით თამაში კი ჩვენს ფეხბურთელებს ჯერჯერობით არ ძალუძთ — გადაცემის სიზუსტეც დაიკარგება და ბურთსაც ხეირიანად ვერ მიიღებენ.

არადა, მსოფლიო ჩემპიონატმა თავის საუკეთესო მატჩებში სწორედ ასეთი, ჩვენი ფეხბურთელებისთვის მიუწვდომელი ყუმბარისებური გადაცემები (მოკლე გადაცემებიც კი) გვიჩვენა. ამ გადაცემებს არც სიზუსტე აკლდა და ბურთის მიღებაც ეკონომიური და ზუსტი იყო. ამასთან, ეს მარტო დაბალ ბურთებს როდი ეხება. გაიხსენეთ, როგორ ტყვიასავით გადასცემდნენ მაღალ ბურთებს კარლოს ალბერტო ან კლოდოალდო მოპირდაპირე ფლანგზე, სადაც ევერალდო რბილად და ზუსტად მოირგებდა ბურთს ფეხზე და, როგორც თვითონ სჭირდებოდა, ისე მოიმარჯვებდა მიწაზე... ასეთი გადაცემის დროს ბურთი ადვილად არ ჩაუვარდება მეტოქეს ხელში. პარტნიორები უფრო სწრაფად და დაუბრკოლებლად ებმებიან თამაშში. დროის ნამდვილ ეკონომიას სწევენ. „ჩქაროსნული“ ტექნიკა არაფერია, თუ სწრაფად მიმავალი ბურთის მიღებას და დამუშავებას ვერ შეძლებ. ჩვენს ფეხბურთელებს კი ეს ჯერჯერობით არ შეუძლიათ.

3. მაღალი გადაცემები? მოკლე მანძილზე ჩვენი ფეხბურთელები ასეთ გადაცემებს მხოლოდ იძულებით იყენებენ. საერთოდ, ჰაერში თამაშის ტექნიკა, როგორც უფრო რთული და მრავალელემენტიანი, ჩვენში მაინცდამაინც დიდ პატივში არ არის და იმიტომ იჩაგრება. ბურთის ჰაერში გათამაშება-დამუშავება, გვერდის ავლა, მოკლე გადაცემები კარის ახლოს იერიშების დროს, ჩვენს ფეხბურთში იშვიათი მოვლენაა. რასაკვირველია, როცა ბურთი მიწაზეა, მაშინ მისი დაუფლება უფრო იოლია. სამაგიეროდ, მაღალ გადაცემას ერთი დაუფასებელი უპირატესობა აქვს. იგი საშუალებას იძლევა ბურთი მეტოქეების თავს ზემოთ დაუბრკოლებლად გადააწოდო პარტნიორს. ეს დიდ შესაძლებლობებს ქმნის კარის ახლო მისადგომებთან იერიშის დროს. ჩვენ ვნახეთ ბურთის აჭრა მიწიდან — მაღალი ტრაექტორიით მოკლე გადაცემის ბრწყინვალე ხერხი: ბურთი ზედ ცხვირწინ აუფრინდება გამშრალ მცველებს და იქვე, მათს ზურგს უკან ეშვება დანიშნულ ადგილზე. მცველი უძლური ხდება. დაგვამახსოვრდა პელეს მიერ ჟაირზინიოსკენ დიაგონალურად შესრულებული მარჯვე აჭრა, რამაც თამაშის დასაწყისშივე არევ-დარევა შეიტანა ჩეხოსლოვაკიელთა დაცვაში. ჩვენ ვნახეთ ნამდვილი საშემსრულებლო შედევრები, როცა დარაჯებით გარშემორტყმულმა პელემ მაღალ ნახტომში ბურთი გვერდით ჩამოაგდო და გოლი გაიტანა; როცა ჟაირზინიომ ნახტომში მოატყუა მეკარე და ბურთი მეტოქის კარში მოათავსა. ჩვენ ვნახეთ, როცა საჯარიმო მოედანზე გაჩაღებულ თავგამოდებულ საჰაერო დუელში ზეელერმა თავით გადაუგდო ბურთი მიულერს, ხოლო ამ უკანასკნელმა ასეთივე ხერხით გოლი გაიტანა იტალიელთა კარში.

მსოფლიოს საუკეთესო გუნდებთან შედარებით, ჩვენი ფეხბურთელები უფრო იშვიათად და არც ისე უნარიანად იყენებენ „საჰაერო“ ტექნიკას, განსაკუთრებით იერიშებში, მით უმეტეს, საჯარიმო მოედანზე.

... ვიმეორებ, აქ საქმე ტექნიკის არსენალის მოცულობაში როდია. ლაპარაკია იმაზე, თუ რამდენად ხარისხიანად, სუფთად, უწონოდ, ეკონომიურად, მრავალფეროვნად, გამომგონებლურად, გემოვნებითაა გამოყენებული ეს ტექნიკა თამაშის დროს. ასეთ კრიტერიუმებს შორის შეიძლება უმნიშვნელოვანესი იყოს ფეხბურთელთა ტექნიკის ორგანულობა და ბუნებრივობა.

რას ნიშნავს უმაღლესი ტექნიკა? ესაა, პირველ ყოვლისა, სრული თავისუფლება ბურთთან დამოკიდებულებაში. სწორედ ეს თავისუფლება აკლიათ ჩვენს ფეხბურთის ოსტატებს. რა არის უმაღლესი ტექნიკა? უნდა შეგწევდეს უნარი, რომ ბურთთან მუშაობის დროს ორიენტირება არ დაკარგო. ხედავდე ყველაფერს, რაც მინდორზე ხდება. აზროვნებდე და შეგეძლოს სწრაფი, სწორი, ორიგინალური გადაწყვეტილებების გამოტანა. ამ თვალსაზრისით ფენომენალური მაგალითი გვიჩვენა იმავე პელემ. მე მხედველობაში მაქვს გახმაურებული ეპიზოდი, როცა შუა მინდორზე შექმნილ რთულ სიტუაციაში პელემ შეძლო შეენიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიელთა მეკარე ვიქტორი კარიდან გამოვიდა. ამ დროს პელემ სცადა პირდაპირ ცენტრალური წრიდან გაეტანა გოლი. ბილი რაიტის სიტყვით რომ ვთქვათ, ეს „ფანტასტიკური“ ცდა იყო. ჩეხოსლოვაკიელთა კარი სასწაულით გადარჩა. ესაა საოცარი პერიფერიული მხედველობის, ბურთზე მოძრაობითი კონტროლის, საოცარი სიფხიზლის მაგალითი ტექნიკური ილეთის შესრულების მომენტში. ყურადღების ასე გამახვილება ბურთზეც და თამაშის მსვლელობაზეც მხოლოდ სრულყოფილ ოსტატს შეუძლია.

ბიშოვეცს კარგი ტექნიკა აქვს, მაგრამ იგი მეტისმეტად ინდივიდუალური მოთამაშეა. განა იმიტომ, რომ ეგოისტია. არა, უბრალოდ, როცა ბურთს მიიღებს, მეტს ვერაფერს ხედავს.

შემოქმედება მინდორზე — შესაძლებელია თუ არა ამის მიღწევა, თუ ფეხბურთელის ყურადღება ტექნიკითაა შებოჭილი? ტექნიკური ილეთი ისე უნდა შესრულდეს, რომ სადღაც არ უყურებდე ბურთს, სადღაც ბურთსაც ხედავდე და სხვა ფეხბურთელებსაც. ამას გარდა, დროდადრო ბურთს უნდა მოსწყვიტო მზერა, რათა მიმოიხედო. ერთი სიტყვით, უნდა შეგეძლოს თამაში მაღლა აწეული თავით.

რაც უფრო დაბალია ტექნიკის დონე, მით უფრო არაეკონომიურად და არანაყოფიერად იხარჯება ფეხბურთელის ენერგია, თუნდაც საკრით ავეწყოს. მექსიკის გამოცდილება გვასწავლის, რომ, თუ ტექნიკა და ტაქტიკა არ მოწესრიგდა, ჩვენს ფეხბურთელებს არავითარი ფიზიკური მომზადება არ ეყოფათ. ფეხბურთი საერთოდ არ უნდა ესმოდეს კაცს, რათა მეტაევისა და პაშნინის მსგავსად (იხ. „სპორტივნიე იგრი“ № 8) ამტკიცო: ჩვენს ფეხბურთელებს კარგი ტექნიკა აქვთ, მაგრამ ცუდი ფიზიკური მომზადების გამო ადვილად იღლებიან, „არ ჰყოფნით ფიზიკური ძალა, რათა კარგად შეასრულონ ფინტი, ზუსტი დარტყმაო“.

როგორც ხედავთ, აქ უჩვეულოდ მარტივი გზით მთელი პრობლემა თავდაყირაა დაყენებული.

ვ. მდივანი.



1951 წლის შემდეგ საქართველოს აკრობატიკაში სსრ კავშირის ჩემპიონები აღარ ჰყოლია. და აი, შარშან მოსკოვში პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადაში ჩვენ კვლავ ვიხილეთ საქართველოს წარმომადგენლები საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ტრადიცია თითქოს აღსდგა და უკვე წლეულს კალუგაში სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში საქართველოს ოთხეულმა III საპრიზო ადგილი დაიკავა.

სულ ახლახან ბარნაულში სსრ კავშირის თასის გათამაშება გაიმართა. აქ უკვე ყველას აჯობეს ჩვენი რესპუბლიკის აკრობატებმა, „შრომითი რეზერვების“ წევრებმა ს. დელიბალტოვმა, ა. თედეევმა, ა. სლივკოვმა და თ. ლომთაძემ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ ყოველნაირად შეუწყო ხელი სპორტსმენებს. „შრომითი რეზერვების“ აკრობატებს ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. ქელეხსაშვილი და მწვრთნელი გ. მარგიშვილი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს სულ მალე (10-დან 14 დეკემბრამდე) კიშინიოვში, იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატში მოუწევთ ასპარეზობა და იმედია, კვლავ წარმატებით გამოვლენ.

ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს „შრომითი რეზერვების“ ოთხეული— ა. თედეევი, ს. დელიბალტოვი, თ. ლომთაძე და ა. სლივკოვი.

# კარგი მასპინძლები

საქართველოს სპარტაკიადის ზონალური (დასავლეთის ზონა) ტურნირი ძალოსნობაში მახარაძის ახალ სტადიონზე გაიმართა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა სამტრედიის, მახარაძის, ცხაკაიას, ზესტაფონის, ზუგდიდის, მესტიის, საჩხერის, ონის, მაიაკოვსკის, ჩოხატაურის, ორჯონიკიძის, აბაშისა და ხობის 129 ძალოსანი. სხვა რაიონებმა ტურნირს თავი აარიდეს, ხოლო მონაწილეთაგან ბევრმა სრული გუნდი ვერ გამოიყვანა.

საერთო I ადგილი სამტრედიელებმა დაისაკუთრეს — 126 ქულა. მასპინძლები 106 ქულით II ადგილზე გავიდნენ. III ადგილზეა ზუგდიდის ნაკრები — 56 ქულა.

პირად ტურნირში დამაკმაყოფილებელი შედეგები მოიპოვეს სამტრედიელებმა ნ. ნამიჭეიშვილმა და ა. კურენიამ, მახარაძელმა ა. თამოევმა, რომლებიც ვეტერანების — რესპუბლიკის მრავალგზის რეკორდსმენის ვ. ბლიაძისა და გ. ერქომაიშვილის გვერდით დიდი მონდომებით ასპარეზობდნენ.

მახარაძელებმა მონაწილეთ კარგი მასპინძლობა გაუწიეს — სპორტსმენებს ყველა პირობა შეუქმნეს. მიუხედავად ამისა, საერთო ტექნიკური მაჩვენებლები არადამაკმაყოფილებელი იყო, რაც იმის დამადასტურებელია, რომ „სპორტის დედოფალი“ რაიონებში საგრძნობლად ჩამორჩება.

ნ. წერეთელი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

# საინტერესო წიგნი




მთამსვლელობის მდიდარი ტრადიციები ჩვენს რესპუბლიკაში საყოველთაოდ ცნობილია, საქართველო საბჭოთა მთამსვლელობის აკვანის დამრწევია. ამ სახეობის განვითარებაში ჩვენს ხალხს უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი. ამდენად, მთამსვლელობა ჩვენში სპორტის ეროვნულ სახეობადაც ჩაითვლება.

ჩვენმა მკითხველებმა ახლახან მიიღეს „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემული კ. ჯავრიშვილის წიგნი „მთები და ადამიანები“, ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს მთამსვლელთა ცხოვრებაზე, კავკასიონის მწვერვალების დაპყრობაზე, მთამსვლელობის განვითარების გზაზე, ცნობილ ქართველ მთამსვლელ ალიოშა ჯაფარიძეზე, მის საზოგადოებრივ და სპორტულ მოღვაწეობაზე. იგი გვიამბობს, რა გმირობა გამოიჩინეს ქართველმა მთამსვლელებმა დიდი სამამულო ომის წლებში.

თავი „კავკასიელი გამყოლები“ ეძღვნება ჩვენს შესანიშნავ გამყოლებსა და მეგზურებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მწვერვალთა მისადგომების შესწავლასა და მათს დაპყრობაში.

ამავე წიგნში საგანგებო თავი ეძღვნება კავკასიის პირველ ალპურ კლუბს, მის ისტორიას და საქმიანობას.

ჩვენის აზრით, დასახელებული წიგნი კარგი შენაძენია მკითხველთა ფართო წრისათვის. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ იგი ასე მცირე ტირაჟით (3.000 ცალი) გამოიცა.

# თბილისელი იეზიდი — პრობლემისტი

ვინც თვალს ადევნებს ჩვენი რესპუბლიკის საჭადრაკო ცხოვრებას, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა თბილისელი იეზიდის შამილ ადეს შემოქმედება. ნიჭიერი ახალგაზრდა გატაცებით თხზავს საჭადრაკო ამოცანებს, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსში.

შ. ადეს ნაწარმოებები გამოქვეყნებულა „სოფლის ცხოვრებაში“, „ახალგაზრდა კომუნისტში“, „ლელოში“ და იეზიდურ გაზეთში „რია თაზე“ (ერევანში გამოდის). აღსანიშნავია მისი ორი ამოცანა. პირველი ადემ შეადგინა ნ. ბარათაშვილის „მერანის“ გავლენით და „ლელოში“ დაბეჭდა დიდი პოეტის იუბილეს დღეებში, მეორე ამოცანაში ავტორმა საწყის პოზიციას დედოფლის გვირგვინის სახე მისცა და იგი ქართველ მოჭადრაკე ქალებს მიუძღვნა. ეს ნაწარმოები გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა.



შამილი ბავშვობაში ეზიარა ჭადრაკს, მაგრამ თამაშზე უფრო ამოცანების ამოხსნა იტაცებდა, მერე, როცა მუშაობა დაიწყო და თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-5 ქართულ სკოლაში სწავლობდა, მუდამ პოულობდა დროს ამოცანების შესადგენად. თბილისის ფოსტის მე-7 განყოფილების ოპერატორი, კომკავშირული შრომის დამკვრელი შ. ადე ახლაც აგრძელებს საყვარელ საქმეს.

გთავაზობთ შ. ადეს ერთ-ერთ ახალ ამოცანას:



შამათი სამ სვლაში

ამჟამად იეზიდი პრობლემისტი მონაწილეობს დიდ საკავშირო კონკურსში „საქართველო—50“, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს მიუძღვნეს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და ჭადრაკის ფედერაციამ.

**თ. გიორგაძე.**

• • •

სურათზე: შ. ადე.

△ **ობერკოფში.** ოთხი ტრამპლინის წლევანდელი ტურნირი სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს, ვინაიდან უკვე ცნობილი გახდა, რომ ამჯერად გამარჯვებისთვის მებრძოლთა შორის 4 საქვეყნოდ აღიარებული „მფრინავი მოთხილამურე“ იქნება. სტარტზე გამოვლენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ნაპალკოვი, გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონი ბელოუსოვი (ორივე — სსრ კავშირი), მსოფლიო ჩემპიონები ვირკოლა და გრინი (ორივე — ნორვეგია) და სხვ.

△ **ვენა.** ინგლისელმა რ. ჩარლსმა მე-12 რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ორსოლიჩი (ავსტრია) და 65 კგ წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა.

△ **მიუნხენი.** გდრ-ისა და გფრ-ის სპორტული ორგანიზაციების მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზნით გაიმართა გერმანიის სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირისა (გდრ) და გერმანიის სპორტული კავშირის (გფრ) ხელმძღვანელთა თათბირი. როგორც თათბირის მონაწილე გფრ-ის დელეგაციის ხელმძღვანელმა ვ. დაუმემ აღნიშნა, შეხვედრას ამაოდ არ ჩაუვლია, აქ დაისვა საკითხი, რომ საერთაშორისო შეჯიბრებებში ორივე გერმანია ერთიანი გუნდებით გამოვიდეს.

△ **დეტროიტი.** მძიმე წონის პროფესიონალმა მოკრივემ ჯ. ფრეზერმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიცვა ქვემძიმე წონის ბ. ფოსტერთან ბრძოლაში. ფრეზერმა მეტოქე მეორე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა. 26 შეხვედრაში ფრეზერის ეს 23-ე გამარჯვებაა ნოკაუტით.

△ **სტოკჰოლმი.** შვეციაში წლეულს საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს გ. ლარსონი, რომელმაც ბარსელონის ევროპულ ჩემპიონატში მსოფლიო რეკორდები დაამყარა 200 მ კომპლექსურ და 400 მ თავისუფალი სტილით ცურვაში, თანაც, მან სამი ოქროს მედალი მოიპოვა.

△ **სოფია.** გაისად, 13-14 მარტს, აქ გაიმართება კონტინენტის ზამთრის მორიგი ჩემპიონატი მძლეოსნობაში. ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის კომისიამ შეიმუშავა სპეციალური ნორმატივები, რომელთა შესრულება ტურნირში მონაწილეობის უფლებას იძლევა. ნორმატივები ასეთია: **ქალები.** 60 მეტრზე რბენა — 7,5 წამი; 400 მ — 56,0; 800 მ — 2.10,0; 1500 მ — 4.25,0; 60 მ თარჯრბენი — 8,6; სიმაღლეზე ხტომა — 175 სმ; სიგრძეზე ხტომა — 620; ბირთვის კვრა — 15,50. **ვაჟები.** 60 მ — 6,6; 400 მ — 48,8; 800 მ— 1.51,5; 1500 მ— 3.48,5; 3000 მ — 8.05,0; 60 მ თარჯრბენი — 7,9; სიმაღლეზე ხტომა — 212 სმ; სიგრძეზე ხტომა — 770 სმ; სამხტომი — 15,80; ჭოკით ხტომა — 5 მ; ბირთვის კვრა — 18 მ. ნორმატივები სავალდებულოა მხოლოდ იმ ქვეყნების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ჩემპიონატში ორი და მეტი სპორტსმენით გამოსვლას აპირებენ.

# ბუქარესტის ტრადიციული

**ბუქარესტი, 9 დეკემბერი.** მეგობრულ არმიათა უძლიერეს ჰოკეისტთა გუნდები შეიკრიბნენ აქ ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. პირველი დღის შეხვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა: ჩეხოსლოვაკია — პოლონეთი 6:2, რუმინეთი — ბულგარეთი 7:3, სსრ კავშირი — ბულგარეთი 17:0.

# ჯუჯინ...

თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა გუნდების V ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. გთავაზობთ პირველი-ორი მატჩის შედეგს: იუგოსლავია — ისლანდია 24:15 (9:2), ჩეხოსლოვაკია — უკრაინა 18:18 (11:13). ამ დღის ორი მომდევნო შეხვედრა გვიან ღამით გაიმართა.

### ტურნირის დანარჩენ შეხვედრათა კალენდარი

**დღეს**

**16.00.** გფრ — ისლანდია.
**17.20.** ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი (ახალგაზრდული).
**18.40.** სსრ კავშირი — იუგოსლავია.
**20.00.** უკრაინა — საქართველო.

**ხვალ**

**16.00.** სსრ კავშირი (ახალგაზრდული) — უკრაინა.
**17.20.** ისლანდია — სსრ კავშირი.
**18.40.** იუგოსლავია — გფრ.
**20.00.** საქართველო — ჩეხოსლოვაკია.

12 დეკემბერს გაიმართება ფინალური შეხვედრები. დასაწყისი 18 საათზე.



# ერთი ნაბიჯი მეფის ტახტამდე

### კასიუს კლეის ახალი წარმატება

**ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი.** სახელგანთქმულმა მოკრივემ კასიუს კლეიმ კიდევ ერთი ბოლოსწინა ნაბიჯი გადადგა პროფესიონალთა შორის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტახტისკენ. მან მძიმე ბრძოლაში დაამარცხა არგენტინელი ოსკარ ბონავენა. ბოლო მე-15 რაუნდში კლეიმ სამჯერ ჩააგდო მეტოქე ნოკდაუნში და რეფერიმ ტექნიკური ნოკაუტი აღნიშნა.

ამ შეხვედრამ, რომელიც 7 დეკემბერს გაიმართა, სპორტული საზოგადოებრიობის უდიდესი ყურადღება მიიქცია. ბილეთები 10-დან 75 დოლარი ღირდა. „მედისონ სკვერ გარდენი“ გაჭედილი იყო. მატჩი გადაიცა დახურული ტელეარხებით. აშშ-ს 150-ზე მეტ დარბაზში ამ ორთაბრძოლას დიდ ეკრანებზე უჩვენებდნენ. შეხვედრა თანამგზავრით გადაიცა ლათინური ამერიკის, ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში.

ორივე მოკრივეს საკმაოდ სოლიდური სტაჟი ჰქონდა. ბონავენამ კლეისთან შეხვედრამდე 52 ორთაბრძოლა ჩაატარა და აქედან 86 ნოკაუტით მოიგო. მისმა მეტოქემ 80 შეხვედრიდან 24 დაამთავრა ნოკაუტით. მას არც ერთხელ არ წაუგია რინგზე. ორივე მოკრივე 28 წლისაა.

პირველი რაუნდი მეტოქეებმა ფრთხილად დაიწყეს. ბონავენამ სცადა რამდენიმე გვერდითი დარტყმა შეესრულებინა მარცხნიდან, მაგრამ ეს დარტყმები მიზანს ვერ აღწევდა. კასიუსი რინგზე „ცეკვავდა“. მან მოახერხა მეტოქისთვის სახეში გაერტყა, რის შემდეგ ბონავენამ ჩაიჩოქა. ნოკდაუნი. მეორე სამწუთიანში ბონავენამ დარტყმების კომბინაცია ჩაატარა. მესამე რაუნდში მან რეფერისგან გაფრთხილება მიიღო წელს ქვემოთ დარტყმისთვის. კლეის მძლავრი შეტევისაგან ბონავენა კინაღამ რინგის მოაჯირზე გადავარდა. მეოთხე რაუნდში არგენტინელმა ინიციატივის ხელში ჩაგდება სცადა. მან მეტოქე რინგის კუთხეში მიიმწყვდია და კორპუსის არეში მუშტები დაუშინა. კლეიმ კონტრიერიშით უპასუხა, მაგრამ საპასუხო დარტყმა მიიღო თავში. ეს რაუნდი არგენტინელმა მოიგო. ბონავენამ კვლავ მიიღო რეფერის გაფრთხილება წელს ქვემოთ დარტყმისთვის. კასიუსი უფრო მხნედ გამოიყურებოდა და მსუბუქად დახტოდა ბონავენას ირგვლივ. ამ უკანასკნელს კი მოძრაობა უჭირდა, მაგრამ მაინც იპოვნა თავის თავში ძალა და ორი მომდევნო სამწუთიანი მოიგო. სპეციალისტების აზრით, მისი მეცხრე რაუნდი საუკეთესო იყო. კლეი დაღლილი ჩანდა. ორთაბრძოლის ტემპი შესამჩნევად დაეცა. მოულოდნელად ბონავენამ კლეის მარცხენა თვალი შეუტია, რასაც მეტოქემ ორი დარტყმით უპასუხა. რაუნდი არგენტინელის მცირე უპირატესობით დამთავრდა. მანვე მოიგო ორი მომდევნო რაუნდიც. იერიში მას უმთავრესად მეტოქის კორპუსზე მიჰქონდა. ბონავენა მტკიცედ გრძნობდა თავს მე-13 რაუნდში. მეტოქენი დარტყმებს ცვლიდნენ, მაგრამ კასიუსი უფრო ეფექტურად მოქმედებდა.

ბოლოსწინა რაუნდში მოკრივეებმა ორთაბრძოლა შენელებულ ტემპში ჩაატარეს. ორივე აშკარად დაიღალა. ხშირად შეხვედრა ხელჩართულ ჩხუბს ემსგავსებოდა და ტრიბუნები აშკარად უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. მე-15 რაუნდში ბონავენა მძლავრი დარტყმისგან წაბარბაცდა და შემდეგ ისევ დარტყმა მიიღო. მისმა სეკუნდანტმა პირსახოცი გადმოაგდო კაპიტულაციის ნიშნად, მაგრამ რინგის მსაჯმა ამას ყურადღება არ მიაქცია და მეტოქეებს ბრძოლის გაგრძელების უფლება მისცა. კლეიმ კვლავ შეუტია. ძლიერი დარტყმების შედეგად ბონავენა მესამე ნოკდაუნში აღმოჩნდა. კლეის გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა.

მაშ ასე, კასიუს კლეიმ ამ გამარჯვებით უფლება მოიპოვა, რომ ამჟამინდელ ჩემპიონს ჯო ფრეზერს გადამწყვეტ ორთაბრძოლაში შეხვდეს. შეხვედრა 1971 წლის თებერვლისთვისაა დანიშნული.

• • •

სურათზე: კასიუს კლეი.

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ჯაფარიძე.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 7 უე 04521